სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/39

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2026

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/135 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 7 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. 2026-2027 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის სწავლის საფასურის ოდენობები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მოქალაქეებისათვის — 4500 ლარი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის:

ბ.ა) ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე — 4500 ლარი;

ბ.ბ) უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე — 12500 ლარი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**